გიორგი შარაშიძე

შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში

(გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი — 2011 წელი

მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის სერია
„მოდერნულობის ისტორია და თეორია“

სერიის რედაქტორი: **გიგა ზედანია**

სერია იბეჭდება
კავკასიის შვეიცარული აკადემიური ქსელის
მხარდაჭერით

ტომი 2: გიორგი შარაშიძე
შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში

მთარგმნელი: მაია ქაცანაშვილი

რედაქტორი: ნოდარ ლადარია

ISSN 1987-9407 UDC(უაკ) 7.035.93
მ-804

ISBN 978-9941-18-027-9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

თავი I
შესაძლებელია თუ არა საუბარი ქართულ „ფეოდალიზმზე“? 5

1. ფეოდალური ილუზია 5

2. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი წყობა 13

თავი II
გამოცემები და თარგმანები 29

I. გამოცემები 29

II. თარგმანები 32
1. რუსული თარგმანი 32
2. ინგლისური თარგმანი 34
3. ფრანგული თარგმანი 35
4. აქ მოცემული თარგმანი 39

თავი III
ტერიტორია, თარიღი, წყაროები 44
1. ტერიტორია 44
2. კოდექსის დათარიღება 58
3. წყაროები 60

თავი IV
საკუთრების კონცეფციები 66

თავი V
„სისხლის სამართალი“ 83

I. ადგილობრივი სამართლით გათვალისწინებული ქმედებები 86
1. მკვლელობა 86
2. ჭრილობები (გერში) და სხეულის დაზიანება 87
3. ცოლის (ან საცოლის) მოტაცება 88

II. ადგილობრივ სამართალში გაუთვალისწინებელი ქმედებები 90
1. ქურდობა და ძარცვა 90
2. ცოლის დაგდება 97
3. თანამონაწილეობა, ძმის მკვლელობა (ფრატრიციდი) 98

III. ფეოდალურ ვალდებულებებისგან თავის არიდება 98

თავი VI
ავტოქტონური სოციალური კატეგორიები 104

I. ჰეროვანი 107
1. ერისგანი 111
2. ერობა 112

II. ხევისბერი 114

თავი VII
ერისთავი 120
1. მთავარი = gouverneur (მმართველი) 129
2. მთავარი = principal, premier (ძირითადი, პირველი) 129

შენიშვნა I. 136
ირანული გავლენის შესახებ 136

შენიშვნა II. 138
ზოგიერთი ირანული ტერმინის შესახებ 138

თავი VIII
ვასალეგი და მოხელეეგი 140

1. აზნაური 140
2. გლეხები 148
3. განმგებელი 152
4. ციხისთავი 157

თავი IX
გიორგი V-ის კოდექსი და პოლიტიკა 160

ბიბლიოგრაფია 175

თავი I

შესაძლებელია თუ არა საუბარი ქართულ „ფეოდალიზმზე“?

1. ფეოდალური ილუზია

ჰუმანიტარული მეცნიერებები საკუთარ განვითარებას სულ უფრო და უფრო მკაცრ მოთხოვნებს უქვემდებარებენ და ამგვარად ახერხებენ იმ გაბატონებული ცნებების უარყოფას, რომელთა დაუმსახურებელი აღიარება სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის მეცნიერულ პროგრესს. ამას ტერმინ „ტოტემიზმის“ მაგალითიც მოწმობს: თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში რელიგიის ეთნოლოგიამ და ისტორიამ ეს ტერმინი საყოველთაო მოხმარების უბრალო იარლიყად აქცია და ის თვით დიდ მეცნიერთათვისაც კი წარმოადგენდა ახსნის საკმაოდ მოხერხებულ საშუალებას, რომელსაც განსჯის გარეშე, თავისუფლად იყენებდნენ, როგორც ადრინდელი ექიმები – სისხლის გამოშვებას. „ტოტემიზმით“ ყველაფრის ახსნა სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი საკითხების მხედველობაში მიღების საშუალებასაც კი იძლეოდა და სიღრმისეული კვლევების გვერდის ავლით გზას უღობავდა ჭეშმარიტებას. 1962 წელს ლევი-სტროსმა ტოტემიზმის ცნება ზუსტ პროპორციებამდე დაიყვანა და აჩვენა, რომ საქმე გვქონდა ვიწრო ფენომენთან და არა ახსნის უნივერსალურ პრინციპთან. „ტოტემური ილუზია“ გაიფანტა და ეს ცნება ახლა ზუსტად და მკაცრადაა განსაზღვრული.

არსებობს ერთგვარი „ფეოდალური ილუზია“, წინაზე უფრო მნიშვნელოვანი და მრავლისმომცველი. ფრანგული ფეოდალიზმის ისტორიკოსებმა განსაზღვრეს ამ ტერმინის ლეგიტიმური მოქმედების არეალი, ერთი მხრივ, მათ დაწვრილებით აღწერეს ეს ფენომენი იმგვარად, როგორც ისტორიულადაა მიღებული და, მეორე მხრივ, გვიჩვენეს ამ ტიპის საზოგადოებრივი წყობის ასახვის მიზანშეუწონლობა მსოფლიოს სხვა რეგიონებში, გარდა იმ რეგიონებისა, სადაც ის წარმოიშვა. ბევრი მეცნიერი არ მიიჩნევს ფეოდალიზმს ერთგვარ უნივერსალურ ტიპად, რომელსაც ყველგან და ყველა დროში შევხვდებით და არ თვლის მას საზოგადოებ-

რივი განვითარების აუცილებელ ეტაპად. ამგვარად, ფეოდალური წყობა კარგავს ისტორიულ ხასიათს და რჩება ახსნის მუდამ ხელმისაწვდომ პრინციპად, იმ გასაღებად, ყველა კარს რომ ერგება. ახლახან, კიდევ ერთხელ, მ. ბუტრუჩმა მკაცრად ამხილა ენობრივი ელემენტების არამართლზომიერი ხმარება, რაც, მისი აზრით, ერთგვარი ძალადობაა სინამდვილისა და ისტორიის მიმართ:

> არა მხოლოდ ყველა სახის ვასალური ურთიერთობის, არამედ იმ საზოგადოებებისა და ინსტიტუციების ერთი ნიშნის ქვეშ გაერთიანება, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვს ფეოდალიზმთან, ნიშნავს მეცნიერების გამოტენას უსარგებლო ნალექით; გაუგებრობების მიჩქმალვას ტერმინების აღრევით.[1]

შედარებითმა კვლევებმა წარმოაჩინა ფრანგული ფეოდალიზმის სპეციფიკურობა ევროპის იმ ნაწილში, რაინსა და ლუარას შორის, სადაც წარმოიშვა და განვითარდა ეს რეჟიმი. არ არსებობს სხვა საზოგადოებრივი წყობა – შუა საუკუნეების იაპონიას თუ არ ჩავთვლით – რომელიც აერთიანებს ისეთ ნიშნებს, რომელთა ერთობლიობა აუცილებელია, რათა ტერმინ „ფეოდალიზმის“ გამოყენება მართლზომიერი იყოს. გარეგნული სახე ხშირად მცდარია: შთამბეჭდავი ანალოგიები უბიძგებს ისტორიკოსს, უფრო მეტად კი მკვლევარს, ნაცნობი სქემის მისადაგებისა და ფეოდალიზმის იარლიყის გამოყენებისკენ. მხოლოდ ზედმიწევნითი ანალიზითაა შესაძლებელი შესასწავლი საგნის თავისებურებათა შენარჩუნება. მაგალითად, დიდია ცდუნება ბიზანტიური პრონოია-ს ფეოდთან და მისი მოსაკარგავეს კი ვასალთან ასიმილაციისა, რაც გარკვეულწილად გააკეთა კიდეც ოსტროგორსკიმ. იმ დოკუმენტების ანალიზისას, რომლებიც ბიზანტიის მიწათმფლობელობის ისტორიას ეხება, ლემერლმა წარმოაჩინა სამამულო სისტემისა და სოციალური მოწყობის განმასხვავებელი მახასიათებლები: ისინი არ ემთხვევა ფრანგული ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.[2] ასევე ხშირად აღნიშნავენ, რომ ჩერქეზთა სოციუმს,

1. ბუტრუჩი, 1959, გვ.24. ფრანგულ ფეოდალიზმთან დაკავშირებით გამოვიყენეთ მარკ ბლოკისა (1939-1940) და ჟოზეფ კალმეტის (1938) კლასიკური შრომები. მკაცრ განმარტებებს ვხვდებით ფეოდალური სისტემის რეალური გავრცელების არეალის შესახებ ბუტრუჩის, კაანის, განშოფის, ლემერლის შრომებში.

2 ბიზანტიის სოციალურ ისტორიაში უნდა გამოვყოთ ორი მომენტი, ორი სის-

რუსი დამპყრობლების გამოჩენამდე, ფეოდალური სისტემის ყველა მახასიათებელი ჰქონდა: იყოფოდა იერარქიულ საფეხურებად – ერისთავები, აზნაურები, თავისუფალი ადამიანები, მონები. მაგრამ დოკუმენტის კრიტიკული კვლევისას ფეოდალიზმის მხოლოდ ერთი ასპექტი დასტურდება: ვასალობა, პირად ურთიერთობებზე დაფუძნებული სამოხელეო იერარქია, საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც ენაცვლება იმას, რასაც სხვაგან სახელმწიფო წარმოადგენს. თუმცაღა ამ სურათს ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი აკლია: მიწათმფლობელობის იმგვარი სისტემის არსებობა, რომლის ასიმილაცია შესაძლებელია იმ სისტემასთან, რომელიც საფრანგეთში იყო გამეფებული და გვთავაზობდა მიწის პირობით ფლობას, ფეოდისა თუ ბენეფიციუმის ცნებებს. საჭიროა დავაზუსტოთ, რომ ჩერქეზების შემთხვევის „ფეოდალიზმით“ განმარტება გარკვეულწილად სწორია და ასე თუ ისე ადეკვატური, რადგან მათი საზოგადოებრივი წყობილება წარმოადგენდა სამოხელეო და პიროვნულ რეჟიმს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გარეშე; ეს იყო ფეოდალური „დიფტიქის“ ერთი ნაწილი.

ძალიან ხშირად დიდია დისტანცია ისტორიულ რეალობასა და იმ იარლიყს შორის, რასაც მას მიაკერებენ ხოლმე. ცნობილია, რომ მარქსისტული აზროვნება ფეოდალურ რეჟიმს საზოგადოების ევოლუციის აუცილებელ ეტაპად მიიჩნევს. ამგვარი მიდგომა ფეოდალური წყობილების გავრცელების ზრდას იწვევს და თავს იჩენს სხვადასხვა ხალხებსა და ცივილიზაციებში. არც მარქსი და არც ენგელსი (რომელსაც მეგობარზე მეტად უყვარდა სისტემატიზაცია) არ ცდებოდნენ იმის დახასიათებისას, რასაც „ფეოდალიზმს“ უწოდებდნენ. 1895 წლის 12 მარტს შმიდტისადმი მიწერილ წერილში ენგელსი საინტერესო დასკვნას აკეთებს. იგი აღნიშნავს, რომ ფეოდალიზმის „კონცეფციის“ უტყუარი რეალიზაცია ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოხდა – საფრანგეთში, საიდანაც იგი ნორმანდიელებმა ინგლისში გაიტანეს. ენგელსი დასძენს, რომ მკაცრი გაგებით ფეოდალური შეგვიძლია ვუწოდოთ „იერუსალიმის ეფემერული სამეფო“ ორგანიზაციას (მარქსი და ენგელსი, რჩეული წერილები, 1947, გვ. 484-485). ასეთი შეხედულებები სწორია, მათ შედარებით უფრო გვიანდელ ნაშრომებშიც

ტემა. ამათგან ორივე მიანიშნებს ფეოდალური რეჟიმის არსებობას: ჰერაკლიუსისა და კომნენის ეპოქა. იხ. ლემერლი, 1958.

შეხვდებით. დასანანია, რომ მათი მიმდევრები ასეთი საღი აზროვნებისგან შორს იყვნენ და ფეოდალიზმის ცნება დაამახინჯეს.

ამ ტერმინისთვის უფრო ფართო მნიშვნელობის მიცემას – რაც აქამდე მის მიმართ არამართებულად მიდგომის ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა – მივყავართ ისტორიული საგნის თავისებურებების დამახინჯებისკენ და მისი განმარტების გაყალბებისკენ. გავიხსენოთ ბუტრუჩის ბრწყინვალე ფორმულირება: „ტერმინების აღრევით გაუგებრობების მიჩქმალვა“, სწორედ ამგვარად ბევრმა ავტორმა ფეოდალურ საზოგადოებას ისეთი ნიშნები მიაწერა, რაც მას სულაც არ შეჰფერის და უფრო მეტიც – რაც მასთან სრულიად შეუთავსებელია. ამის ყველაზე ტიპური მაგალითია ფეოდალური წყობილებისა და ანარქიის გაიგივების მცდელობა. თუკი სახელმწიფო ხელისუფლება სუსტდება და ნაწევრდება, თუკი კერძო დაჯგუფებები ცდილობენ საზოგადოებრივ საქმიანობაზე გავლენის მოპოვებას, ეს საკმარისად მიიჩნევა, რომ საზოგადოება, სადაც ამგვარი მღელვარებები ხდება, მივაკუთვნოთ ფეოდალურ საზოგადოებას. ამის ყოველდღიური მაგალითები გვხვდება პოლიტიკურ პრესასა და ლიტერატურაში. სამწუხაროდ, ისტორიკოსებიც ხშირად ავლენენ ასეთ ტენდენციას. ეს კი იწვევს ერთგვარ დაბნეულობას: ფეოდალური წყობილების დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევენ იმ ფენომენებს, რომლებიც, პირიქით, ხელს უწყობს მის დაშლას.

ასეთი მცდარი შეფასება წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ფეოდალური საზოგადოების ნამდვილი ხასიათის სრულ გაუაზრებლობას, მეორე მხრივ, ორი საპირისპირო ცნების ერთმანეთში აღრევას. ფეოდალიზმი არის მართვის ავთენტური სისტემა – რაც სრულიად საპირისპიროა ანარქიისა – რომელიც ეფუძნება მთელ რიგ პირად ურთიერთობებს, რაც გამოიხატება მიწის ფლობის სპეციფიკური ფორმით. ეს სისტემა ცვლის სახელმწიფო მართვის ორგანოებს, რაშიც ხდება მისი აღრევა. უფრო ზუსტად, თანამედროვე ენათმეცნიერების ენაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეოდალურ რეჟიმში დაპირისპირება სახელმწიფო – კერძო „იშლება“. მაშინ რატომ ხდება ზემოაღნიშნული აღრევა? ვინც ამას აკეთებს, შეცდომაში შეჰყავს საკუთარი თავი საფრანგეთის ისტორიისთვის საცნობი სურათით, ერთგვარი კლიშეთი (თანხვდება რეალობას, ოღონდ უფრო გვიანდელ რეალობას): ბრძოლა სამეფო ხელისუფლება-

სა და ფეოდალებს შორის. ეს ანტაგონიზმი არსებობდა და საკმაოდ მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე, მაგრამ შედარებით ახალ ეპოქაში. იგი მიეკუთვნება ფეოდალიზმის ისტორიას, მაგრამ ასახავს რეჟიმის დაკნინებას, რაც მის დასასრულს გვაუწყებს. სწორედ იმ დროს, როდესაც ფეოდალური სისტემა წყვეტს ნორმალურ ფუნქციონირებას, აღარ მისდევს, თუ ენგელსის ტერმინს მოვიშველიებთ, საკუთარ „კონცეფციას", იწყება ბრძოლა ორ განსხვავებულ ხელისუფლებას – სამეფო ძალაუფლებასა და წარჩინებულთა წრეს შორის.

თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს კონფლიქტი გამოიხატება ორი რადიკალურად განსხვავებული ფორმით, რომლებიც ორ ერთმანეთთან შეუთავსებელ ფენომენს შეესაბამება. ბევრი მეცნიერი შეცდა, როცა შეამჩნია და ყურადღება მიაქცია ამ ფუნდამენტურ სხვაობას. საჭირო იყო, პირიქით, ანტაგონიზმის – რომელიც ფეოდალური სისტემის შიგნით ხდება – გარჩევა იმისგან, რამაც, უფრო გვიანდელ ეპოქაში, ერთმანეთს დაუპირისპირა ორი მოცილე სისტემა, რომელთაგან ერთს წარმოადგენდა სახელმწიფო, მეორეს კი – ფეოდალიზმი. საფრანგეთში ფეოდალურმა საზოგადოებამ ეს ორი ეტაპი გაიარა; პირველი დაემთხვა ფეოდალიზმის ოქროს ხანას, მაშინ როცა მეორე მისი დაშლის მაუწყებელი იყო. ასევე მოხდა საქართველოშიც. ბევრმა ავტორმა ერთმანეთში აურია ისტორიული განვითარების ეს ორი სტადია, პირველს მიაკუთვნა ის ანარქია, რაც მეორისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, ა. მანველიშვილი ასე განმარტავს ქართველ დიდებულთა დამოკიდებულებას:

> სუვერენისადმი მათი დაქვემდებარება მხოლოდ მათ კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. საკუთარ მამულებში ისინი დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდნენ, რაც აქეზებდა მათ სეპარატისტულ მიდრეკილებებს და დამახასიათებელი იყო ფეოდალური აზროვნებისთვის (1951, გვ.156).

ამგვარი განმარტების მცდარობა კარგად ჩანს ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი გამოთქმის შედარებისას: „დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდნენ" და „დამახასიათებელი იყო ფეოდალური აზროვნებისთვის". ფეოდალიზმი ხომ, პირიქით, დაფუძნებულია დამოკიდებულებით ურთიერთობებზე, რაც მისი მთავარი მახასიათებელიცაა. ავტორის მიერ ნახსენები ანარქია კი მაშინ სუფევ-